სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *სანდრო გიორგაშვილის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**12**	**20**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**12**	**20**
წერის უნარი	**18**	**20**
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**13**	**15**
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	**10**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**4**	**5**
პროფესიული აქტივობა	**4**	**5**
ქულათა ჯამი	**73**	**100**

სახელი, გვარი:
თარიღი : 17.09.2024

/ნიკოლოზ მარსაგიშვილი/

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა
შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - **სანდრო გიორგაშვილის**
შეფასების დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით დაწყებული რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად კანდიდატის - **სანდრო გიორგაშვილის** შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1]-ე მუხლის მე-11 პუნქტით და 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით.

1. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით.

რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლით დადგენილი მახასიათებლების მიხედვით.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, იმის დასადგენად, თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი სანდრო გიორგაშვილი კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, წინამდებარე დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით. კერძოდ, როგორიც არის - პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი, დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა, პიროვნული და პროფესიული ქცევა, პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია და ფინანსური ვალდებულება.

აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით სანდრო გიორგაშვილის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, რა დროსაც სხვადასხვა უწყებიდან მოხდა მის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაციის გამოთხოვა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოდან - მონაცემები ადმინისტრა-

ციული სამართალდარღვევების შესახებ; სს „კრედიტინფო საქართველოდან" - სრული პერსონალური საკრედიტო ინფორმაცია; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან - ცნობა შემოსავლების შესახებ; საჯარო სამსახურის ბიუროდან - ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია; კანდიდატის სამუშაო ადგილიდან - ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ. სანდრო გიორგაშვილის დახასიათების მიზნით, მასთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან მიღებული იქნა შევსებული სპეციალური ფორმის რეკომენდაციები, კითხვარები და სხვა სახის ინფორმაცია. ამასთან, სანდრო გიორგაშვილის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მის მიერ განაცხადის შევსებისას მითითებული ინფორმაცია და საჯარო მოსმენისას უშუალოდ კანდიდატის მხრიდან გამოვლენილი სხვადასხვა თვისება.

<u>პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის</u> მახასიათებლის თაობაზე, ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კანდიდატთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ სანდრო გიორგაშვილის შესახებ გამოკითხული პირები და რეკომენდატორები მას აფასებენ როგორც კეთილსინდისიერ, საიმედო და პატიოსან პიროვნებას. ამასთან, აღნიშნავენ, რომ იგი გამოირჩევა პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით და ხაზს უსვამენ მის პროფესიონალურ ღირსებებს. ერთ-ერთი რეკომენდატორი სისუსტესა და ნაკლოვანებაში მიუთითებს ზოგიერთ შემთხვევაში კანდიდატის გადაჭარბებულ ლმობიერებას.

სანდრო გიორგაშვილს გააჩნია პასუხისმგებლობისა და მოვალეობების მაღალი შეგნება და სამსახურებრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ვალდებულებებს ასრულებს ჯეროვნად. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით დაკისრებული ჯარიმები სანდრო გიორგაშვილს გადახდილი აქვს დროულად.

რაც შეეხება *<u>დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებელს</u>*, გამოკითხული რეკომენდატორები და სხვა პირები აღნიშნავენ, რომ სანდრო გიორგაშვილი პიროვნულად მტკიცე, პრინციპული და სამართლიანია, გადაწყვეტილებებს იღებს დამოუკიდებლად, ამასთან პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებელია. ამასთან, მოძიებული ინფორმაციით დასტურდება, რომ 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებზე კანდიდატი სანდრო გიორგაშვილი ყვარლის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად წარდგენილ იქნა ოპოზიციური პარტიებისგან შემდგარი ბლოკის მიერ. საჯარო მოსმენაზე სანდრო გიორგაშვილის მხრიდან არ გამოვლინდა პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის ნიშნები.

<u>პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელთან</u> დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სანდრო გიორგაშვილი თავდაჭერილია და მართავს საკუთარ ემოციებს. კანდიდატის მოსმენის შედეგად დამრჩა შთაბეჭდილება, რომ იგი არის მოტივირებული და კორექტული. ამასთან, კანდიდატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა ან/და სისხლისამართლებრივი წარმოება არ დაწყებულა და იგი სასამართლო დავებში მხარე არ ყოფილა. საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, სანდრო გიორგაშვილი დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა.

<u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლის</u> მიხედვით, კანდიდატის პიროვნულ თვისებებს, ისევე როგორც მის პროფესიულ მიღწევებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აფასებენ დადებითად. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სანდრო გიორგაშვილის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია მისი მოსამართლეობის კანდიდატობის, საპროკურორო საქმიანობის და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატობის შესახებ. იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათთან და ხარისხთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ სანდრო გიორგაშვილი მონაწილეობდა მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში.

<u>ფინანსური ვალდებულების მახასიათებელთან</u> დაკავშირებით, შესაძლებელია ითქვას, რომ სანდრო გიორგაშვილი ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს. მას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება და მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. ამრიგად, კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების შემოწმების შედეგად გამოიკვეთა, რომ არ არსებობს მისი ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა შემდგომში საფრთხის ქვეშ დააყენოს მოსამართლის მიუკერძოებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის და თითოეული მახასიათებლის გაანალიზების შედეგად, ვინაიდან არ გამოკვეთილა ისეთი გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ხუთივე მახასიათებლით შემოწმებისას სანდრო გიორგაშვილი შევაფასე სრულად დადებითად და მიმაჩნია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ის **სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

2. რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით:

რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-17 პუნქტით დადგენილი წესით.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე სანდრო გიორგაშვილის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი, კერძოდ, - სამართლებრივი ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერის უნარი; ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები, აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა, პროფესიული აქტივობა. აღსანიშნავია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, მის მიერ განხილული, შემთხვევითობის პრინციპით

შერჩეული საქმეების შესწავლით მიღებულ ინფორმაციას და საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას.

<u>სამართლებრივი ნორმების ცოდნის</u> კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ, 2024 წლის 2 სექტემბერს, ხოლო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით დაწყებული სააპელაციო სასამართლოებსა და თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცედურის ფარგლებში 2024 წლის 4 სექტემბერს სანდრო გიორგაშვილთან გაიმართა საჯარო მოსმენა.

საჯარო მოსმენისას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა კანდიდატს დაუსვეს არაერთი ზოგადი და კონკრეტული სამართლებრივი ხასიათის შეკითხვა. შეფასების პროცესში ასევე შესწავლილ იქნა სანდრო გიორგაშვილის მიერ განხილული, შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული 5 საქმე, კერძოდ: გურჯაანის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმე №2/357-2003, 12 დეკემბერი, 2003 წელი; გურჯაანის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმე №2/249-2003, 8 სექტემბერი 2003 წელი; გურჯაანის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმე №1/86-2004, 13 ოქტომბერი 2004 წელი; გურჯაანის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმე №1/36-2004, 17 ივნისი 2004 წელი; გურჯაანის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმე - 2004 წლის 30 ივნისი.

კანდიდატის მიერ განხილული საქმეების შესწავლის შემდეგ შემიძლია დავასკვნა, რომ სანდრო გიორგაშვილი ფლობს სამოქალაქო და სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას.

რაც შეეხება საჯარო მოსმენის შედეგად კანდიდატისგან მიღებულ ინფორმაციას, უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატმა ვერ გასცა პასუხი რიგ სამართლებრივ საკითხებზე დასმულ შეკითხვებს, მათ შორის, ვერ განმარტა სახალხო სუვერენიტეტის პრინციპი, არასრულად ჩამოთვალა უშუალო დემოკრატიის ფორმები, მართლწინააღმდეგობის და ბრალის გამომრიცხველი გარემოებები, ვერ დაასახელა შესაბამისი მაგალითები. კანდიდატმა ვერ განმარტა უკიდურესი აუცილებლობის სახეები, ტრაგიკული კოლიზიის არსი, ვერ გამოჯნა არაადამიანური მოპყრობის და ღირსების შემლახავი მოპყრობის დამახასიათებელი ნიშნები. კანდიდატმა აგრეთვე ვერ გასცა პასუხი სამოქალაქო და ადმინისტრაციული პროცესის პრინციპებზე დასმულ შეკითხვებს. მაწვე არასრულად ისაუბრა საკონსტიტუციო დონეზე სასამართლო ხელისუფლებაში განხორციელებულ ცვლილებებზე, ვერ განმარტა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის არსი.

მიმაჩნია, რომ მთელ რიგ სამართლებრივ საკითხებზე კანდიდატის მსჯელობა იყო არასაკმარისი, არაზუსტი, მოკლებული იყო არგუმენტაციას და არ იყო დამაჯერებელი. ამასთან, საჯარო მოსმენის შედეგზე დაყრდნობით, არ შემექმნა შთაბეჭდილება, რომ კანდიდატი ეცნობა კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას.

კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების უნართან და კომპეტენციასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ სანდრო გიორგაშვილს აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის თერთმეტ წლიანი გამოცდილება. აღსანიშნავია, რომ იგი ამჟამად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის სამხედრო და სამოქალაქო მიმართულებით სამსახურებრივი შემოწმების სამმართველოს უფროსია, თუმცა საჯარო მოსმენისას გაირკვა, რომ კანდიდატი, უმეტეს შემთხვევაში, არ იცნობს სამართლის თეორიულ საკითხებს, მან მთელ რიგ შემთხვევებში, ვერ უპასუხა სამართლებრივ საკითხებზე დასმულ შეკითხვებს.

წერის უნართან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სანდრო გიორგაშვილის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, იგი გამოირჩევა სათანადო წერის უნარით. ამასთან, კანდიდატი კარგად იყენებს და აანალიზებს სამართლებრივ ნორმებს. შესწავლილ დოკუმენტებში თვალსაჩინო გრამატიკული ხასიათის შეცდომა არ გამოვლენილა.

ზეპირი კომუნიკაციის უნართან დაკავშირებით კი უნდა აღინიშნოს, რომ სანდრო გიორგაშვილი გამოირჩევა გამართული მეტყველების უნარითა და სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის თვისებით. კანდიდატმა საჯარო მოსმენაზე თანმიმდევრულად, ნათლად და გასაგებად გადმოსცა საკუთარი აზრი.

პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევასთან დაკავშირებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სანდრო გიორგაშვილი მიზანდასახული, პრინციპული, საქმისადმი ერთგული, ემოციურად გაწონასწორებული, თავშეკავებული, კეთილსინდისიერი, პიროვნებაა. ამასთანავე, ვინაიდან მოსამართლის თანამდებობიდან ის გათავისუფლდა 2004 წელს, იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას მოიძიოს და დაამუშაოს სტატისტიკური ინფორმაცია მისი გურჯაანის რაიონულ სასამართლოში საქმიანობის შესახებ, ასევე - შეაფასოს კანდიდატი სასამართლო დარბაზში ქცევის მახასიათებლების მიხედვით. კანდიდატის მიმართ არ არსებობს დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ ინფორმაცია.

აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით კანდიდატის დახასიათებისას გასათვალისწინებელია, რომ სანდრო გიორგაშვილს აქვს თვითგანვითარების, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, მიღებულ ცოდნას კი წარმატებით იყენებს პრაქტიკაში. ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სისხლის სამართლის სპეციალიზაციით. მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სამუშაო შეხვედრებსა და სემინარებში.

პროფესიული აქტივობის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ სანდრო გიორგაშვილი აქტიურად მონაწილეობდა მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში.

სანდრო გიორგაშვილმა მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებში: სემინარი სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო თანამშრომლობის თემაზე - საქართველოს

გენერალური პროკურატურა, სამართლიანი სასამართლოს სტანდარტები (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი) - საქართველოს გენერალური პროკურატურა 2018 წ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება - საქართველოს გენერალური პროკურატურა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო - საქართველოს გენერალური პროკურატურა.

კომპეტენტურობის კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. აღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და შეფასების საფუძველზე კი დადგინდა, რომ სანდრო გიორგაშვილის მიერ დაგროვილ ქულათა ჯამი მაქსიმალური 100 ქულიდან შეადგენს 73 ქულას.

შემფასებელი: **ნიკოლოზ მარსაგიშვილი**

თარიღი: 17.09.2024